



ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება



ბრძანება: ბ13.13211951

თარიღი: 14/07/2021

**ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი პეტიციის
საკითხის გადაწყვეტის მიზნით, ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი პეტიციის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, 2021 წლის 14 ივლისიდან, დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.
2. გამოიცეს შესაბამისი ცნობა.
3. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია-ცნობა, ეს ბრძანება, მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი პეტიციის დოკუმენტაცია გავრცელდეს სოციალური ქსელის Facebook.com მეშვეობით, ახალციხის მუნიციპალიტეტის გვერდზე <http://akhaltsikhe.gov.ge/> და განცხადების სტენდის საშუალებით.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №62).

იოსები კაპანაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



მოქალაქეთა საყურადღებოდ! ცნობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი პეტიციის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო გაცნობებთ, საკრებულოში წარმოდგენილი, პეტიციის საკითხის გადაწყვეტის მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (მისამართი: ქალაქი ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ.#2).

- ✓ პეტიციის წარმდგენი - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-ს ახალციხის რეგიონული წარმომადგენლობის კოორდინატორი(მინდობილი პირი) თამარი უჩიძე.
- ✓ პეტიციის თემა - „ახალციხის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემის მოგვარების შესახებ“
- ✓ მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი პეტიციის დოკუმენტაცია გამოქვეყნდება სოციალური ქსელის Facebook.com მეშვეობით, ახალციხის მუნიციპალიტეტის გვერდზე <http://akhaltsikhe.gov.ge/> და განცხადების სტენდის საშუალებით.
- ✓ პეტიციის განხილვა განხორციელდება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 86-ე მუხლის შესაბამისად.

14 ივლისი 2021 წელი, ქ.ახალციხე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი- იოსებ კაპანაძე



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმდჯომარეს გელა ნოზაძეს,
სუბიექტის მომხსენებლის სახელი და გვარი: თამარი უჩიძე,
პირადი ნომერი:
მისამართი: ქ. ახალციხე,
ტელეფონის ნომერი:

**განცხადება პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე
პეტიცია**

ახალციხის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემის
მოგვარების (მუნიციპალური ავტობუსების რაოდენობის გაზრდის, ავტობუსებისა და სამარშრუტო
ტაქსების გაჩერებების მოწყობისა და რაოდენობის გაზრდის, მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის
გრაფიკის გამართვისა და მგზავრთა გადაყვანის რეგულირების) შესახებ

ბატონო გელა,

წარმოგიდგენთ ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებლების პეტიციას, რომლებიც ქალაქში
საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემის მოგვარებას ითხოვენ.

მოგეხსენებათ, რომ საქალაქო ტრანსპორტი ქალაქის მასშტაბით მოქალაქეების გადაადგილებას ვერ
უზრუნველყოფს. არსებული სამარშრუტო ტაქსები არასაკმარისია, რის გამოც ბევრი უბანი
ტრანსპორტის გარეშეა. ასევე, იქ, სადაც მიდის დღეს არსებული საქალაქო ავტობუსი, მოქალაქეების
სიმრავლის გამო, განსაკუთრებით, პიკის საათებში, გადავსებულია.

გთხოვთ, იმ უბნებში, სადაც დღეს მოძრაობს საქალაქო ტრანსპორტი, გაზარდოთ მარშრუტების
რაოდენობა და სამუშაო საათების დრო. ასევე, დანიშნოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტი აზის,
რაბათის, საბარგო სადგურის, ე.წ. დევნილების და ხუთსართულიანების დასახლებებში, ასევე,
ასპინძისა და ცხრა აპრილის ქუჩებზე.

გთხოვთ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის
თანახმად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია
კანონით გათვალისწინებულ ვადაში, მხარი დაუჭიროთ მას და შემდგომ მუნიციპალიტეტმა
პეტიციის მოთხოვნები ასახოს მუნიციპალურ ბიუჯეტში.


პატივისცემით,

თამარი უჩიძე - პეტიციის წარმდგენი სუბიექტის წარმომადგენელი და მომხსენებელი

ხელმოწერა:

პეტიციის წარდგენის თარიღი:

დანართები:



02.07.2021 წ.

1. პეტიციის წარმდგენი თამარი უჩიძის სია, ბლანკები
2. პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის პირადობის მოწმობის ასლი
3. პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის მინდობილობის ასლი